# საგადასახადო სამართალდარღვევის 355 ფაქტი გამოვლინდა.



**შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო სამართალდარღვევის 355 ფაქტი იქნა გამოვლენილი.**

*“8 აპრილიდან 14 აპრილის ჩათვლით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად საგადასახადო სამართალდარღვევის 355 ფაქტი გამოვლინდა.*

*კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 3 089 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები:*

*საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 94 შემთხვევა; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 21 შემთხვევა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 240 შემთხვევა” — აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.*